



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 231

რუსთავი

„03.09-2021“

„სამუშაოზე გამოცხადების, სამუშაო დროის აღრიცხვის და საქმისწარმოების დროებითი წესის და მტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს N215 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე და 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შევიდეს ცვლილება სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს N215 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით; "1. კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით 2021 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით დისტანციურ (სამუშაო ადგილზე გამოცხადების გარეშე) სამუშაო რეჟიმზე გადასვლის უფლება მიეცეთ კოლეჯში დასაქმებულ იმ პირებს რომელთა ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება არ არის დამოკიდებული სამუშაო ადგილზე გამოცხადებასთან;
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
3. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებგვერდზე;
4. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელს დოკუმენტი შესასრულებლად გადაუგზავნოს IT სპეციალისტს;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6)

პავლე თვალთაშვილი
დირექტორი

